



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 5643  
06/12/2019

5643-09-2-201912061735



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებულ დაზუსტებულ განმარტებით ბარათს 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების ასახვის მიზნით. ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

განხილული იქნა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში, 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად შემცირდა სტადიონების რეაბილიტაციის სამუშაოების თანხა 10418 ლარით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N2010 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან შემცირდეს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე გამოყოფილი თანხა 19655 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯი 19655 ლარით. გაიზარდოს საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის არაფინანსური აქტივების მუხლი 40204 ლარით. სხვა ხარჯების მუხლის 5300 შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 5300 ლარით. შემოსული წერილების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი 17000 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულის საქმეთა სამსახურის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) გაიზარდოს 1000 ლარით, სპორტული ღონისძიების პროგრამა (ორგ.კოდი 05 01 02) გაიზარდოს 800 ლარით. შპს „ლანჩხუთი“-ს დაფინანსება გაეზარდოს 15000 ლარით. ააიპ კულტურის გაერთიანების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 17500 ლარით სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წერილის საფუძველზე გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსება 50000 ლარით; ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) გაიზარდოს მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებისთვის საშემე მერქნის შესაძენად 3000 ლარით; მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი გაიზარდოს 12700 ლარით; მერიის საქონელი და მომსახურების თანხა გაიზარდოს

1000 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივები გაიზარდოს 7000 ლარით. ააიპ სპორტულ ცენტრს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გაეზარდოს დაფინანსება 20000 ლარით; ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გაეზარდოს დაფინანსება 43000 ლარით, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი (ორგ.კოდი 03 01) 26000 ლარით და (საახალწლო ღონისძიებების მოწყობა) სადღესასწაულო ღონისძიებები (ორგ.კოდი 02 06 03) 17000 ლარი; ააიპ საფეხბურთო სკოლას გაეზარდოს დაფინანსება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 4560 ლარით; აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის დანიშნულების გეგმის ზრდით 227764 ლარი. სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წინადადების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი პროგრამების შემცირება კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამა 475 ლარით, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 350 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტის პროგრამა 520 ლარით, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 1500 ლარით, შშმ პირების სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 2300 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 400 ლარით, ხოლო აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებისთვის საშეშე მერქნის შესაძენად 3850 ლარით; სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შესაძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის 1695 ლარი. ააიპ საფეხბურთო სკოლას დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში ხელფასის ფონდის 155 ლარით, სხვა ხარჯების მუხლის 2356 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლის 102 ლარით შემცირების ხარჯზე 2613 ლარით გაეზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება. ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N182 წერილის თანახმად ტრანსპორტის განვითარების (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 4000 ლარით, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების (ორგ.კოდი 03 04) საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 2600 ლარით, წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 02 02) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 1920 ლარით და საქონელი და მომსახურება გაიზარდოს 700 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) შემცირდეს არაფინანსური აქტივები 3700 ლარით და გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 1500 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 7000 ლარით, სასაფლაოს მოვლა პატრონობა (ორგ.კოდი 02 06 05) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდოს 3020 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 3190 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლის 3190 ლარით შემცირების ხარჯზე, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა (ორგ.კოდი 03 02) შრომის ანაზღაურების მუხლის 4600 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურება 4600 ლარით. ააიპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 8000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 8000 ლარით. ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებები ასახული იქნეს როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დამატებით წარმოგიდგენთ 2019 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით დაზუსტებულ ცვლილებას. გთხოვთ განიხილოთ და დამტკიცოთ ცვლილებების გათვალისწინებით. საკითხთან დაკავშირებით

მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას კანდიდატურას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო-საბიუჯეტო  
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2301  
06/12/2019

2301-09-3-201912061527



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის  
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს  
ქალბატონ მაგული კუნჭულიას  
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

დაზუსტებული მოხსენებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში, 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად შემცირდა სტადიონების რეაბილიტაციის სამუშაოების თანხა 10418 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N2010 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან შემცირდეს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე გამოყოფილი თანხა 19655 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯი 19655 ლარით.

გაიზარდოს საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის არაფინანსური აქტივების მუხლი 40204 ლარით. სხვა ხარჯების მუხლის 5300 შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 5300 ლარით.

შემოსული წერილების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალია გაიზარდოს გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი 17000 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულის საქმეთა სამსახურის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) გაიზარდოს 1000 ლარით, სპორტული ღონისძიების პროგრამა (ორგ.კოდი 05 01 02) გაიზარდოს 800 ლარით. შპს „ლანჩხუთი“-ს დაფინანსება გაეზარდოს 15000 ლარით. ააიპ კულტურის გაერთიანების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 17500 ლარით სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წერილის საფუძველზე გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსება 50000 ლარით; ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) გაიზარდოს მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებისთვის საშეშე მერქნის შესაძენად 3000 ლარით; მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი გაიზარდოს 12700 ლარით; მერიის საქონელი და

მომსახურების თანხა გაიზარდოს 1000 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივები გაიზარდოს 7000 ლარით.

ააიპ სპორტულ ცენტრს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გაეზარდოს დაფინანსება 20000 ლარით; ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გაეზარდოს დაფინანსება 43000 ლარით, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი (ორგ.კოდი 03 01) 26000 ლარით და (საახალწლო ღონისძიებების მოწყობა) სადღესასწაულო ღონისძიებები (ორგ.კოდი 02 06 03) 17000 ლარი; ააიპ საფეხბურთო სკოლას გაეზარდოს დაფინანსება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 4560 ლარით;

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის დანიშნულების გეგმის ზრდით 227764 ლარი.

სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წინადადების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი პროგრამების შემცირება კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამა 475 ლარით, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 350 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტის პროგრამა 520 ლარით, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 1500 ლარით, შშმ პირების სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 2300 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 400 ლარით, ხოლო აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებისთვის საშეშე მერქნის შესაძენად 3850 ლარით; სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შესაძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის 1695 ლარი.

ააიპ საფეხბურთო სკოლას დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში ხელფასის ფონდის 155 ლარით, სხვა ხარჯების მუხლის 2356 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლის 102 ლარით შემცირების ხარჯზე 2613 ლარით გაეზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.

ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N182 წერილის თანახმად ტრანსპორტის განვითარების (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 4000 ლარით, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების (ორგ.კოდი 03 04) საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 2600 ლარით, წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 02 02) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 1920 ლარით და საქონელი და მომსახურება გაიზარდოს 700 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) შემცირდეს არაფინანსური აქტივები 3700 ლარით და გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 1500 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 7000 ლარით, სასაფლაოს მოვლა პატრონობა (ორგ.კოდი 02 06 05) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდოს 3020 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 3190 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლის 3190 ლარით შემცირების ხარჯზე, მწვანე

ნარგავების მოვლა პატრონობა (ორგ.კოდი 03 02) შრომის ანაზღაურების მუხლის 4600 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურება 4600 ლარით.

ააიპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 8000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 8000 ლარით.

ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებები ასახული იქნეს როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური